



ქართული
ბიზლირთეკა

ნაბ. ზ. ფურცლიძის



ტუ-104


ჩემალ ჭანელიძის მიერ კონკურსზე გამოგზავნილი
თემის მიხედვით.

№ 7 (1353) აპრილი 1971

საქსუ

გამოცემის 48-ე წელი ფასი 20 კპ.





— მომიღოვას, მარლაში, კიდეც ირთავ ქალს?
— არა, კაცო, სოფლიდან ნათესავი ჩამოვიდა და ქალაქში უნდა ჩაწერა!..

აქანათის რივილი

ჩვეულებრივი ამანათი ვიყავი. როგორც წესი და რიგია, საკუთარი ნომერიც მქონდა (№ 165/1) და, ჩემი მეგობრების მსგავსად, თავზე ფანერის ქუდიც მეხურა. ჩემმა პატრონმა — ქ. ქუთაისის სიმღერისა და ციკვის ანსამბლის წევრმა დარეჯან აბულაძემ 1970 წლის 25 ივლისს ვილნიუსში ტურ პეიერდალის ტივივით შემკრა და დამანამუსა: თუ ღმერთი გწამს, ეს 500 მანეთად ღირებული ტანსაცმელი და მავან და მავანი ნივთები ქუთაისში, ავალიანის ქ. № 8-ში მცხოვრებ ჩემს ნათესავს — გრიგოლ გაბიაშვილს მიუტუნეულო.

დარეჯანს, რატომაც, ჩემი შეფასება გადაავიწყდა (რა შეუფასებლობა!) ვაგლახად ვილნიუსის ფოსტამაც ასე, ჰაიპარად, თბილისის მიმართულებით გამომაფრინა. სოჭში თვითმფრინავი გამომიცვალეს. იქაურმა მტკირთავმა — ქ. თბილისის ავიოსაწარმოს პილოტს ჩამაბარა?? და ხელიც მომიტათუნა. ნუ გეშინია, აწი სამშვიდობოს ხარო! აგაშენა ღმერთმა-მეთქი, წავილულულე საცმოდ შენჯღრეულმა და ძილად მივეფიქრე...

ავი სიზმარი ვნახე: ვილაც უცხვირპირომ (ასე მომეჩვენა) ჯერ ქუდი გვერდზე გადამიწია, მერე კი კისერში მომიღიტინა.

— შე ყურუმსალო, რას გაჩუმებულხარ, შენი პატრონი ვითომ ჩემზე ჰკვიანია?! რა ჩიტს გამომაპარებს, აჰა, შეუფასებელიც ყოფილხარ, მით უარესი შენი პატრონისთვის...

უცხვირპირომ ამომიღილა და უფსკრული-საკენ გამაქანა. მივხვდი, რომ ველუბოდი დარეჯან აბულაძეს და ოთხივე ფანერით ვილ-რიალე. ღრიალი ეგრე არ უნდაო და, იმ შემთხვევაში, ჩაქუჩი ისე ჩამარტყა, ტვინში სისხლი რომ მქონოდა, უეჭველად ჩამექცეოდა...

სიზმარს რა დავჯერებ-მეთქი, გავიმხნევე თავი, შუბლიდან ცივი ოფლის მოწმენდა დავაპირე, მაგრამ, ჰოი, საკვირველებავ! თქვენს მტერს და მაყვევარს აუხდა სიზმარი ასე...

რა მოხდა? რა მოხდა და მას შემდეგ მეც ვეძებ ჩემს თავს, მეძებს დარეჯანი, მეძებს ქ. თბილისის აეროპორტის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მილიცია, მაგრამ ამაოდ. დავიკარგე... დავიკარგე სოჭსა და თბილისს შუა,

28 ივლისს, რეისი № 2852-ის შესრულების (კარგი შესრულებაა, თქვენ ნუ მომიკვდებით!) დროს...

— კაცო, პარაშუტი მგზავრებს არა აქვთ და ამანათი 8 ათასი მეტრიდან ხომ არ გადმოხტებოდა? — დავეკითხე პილოტს, — ამანათი ხომ პირად პასუხისმგებლობაში გადმოგვცათ?

— საუბედუროდ იმ დღეს ხელი კი მოვუწერე ჩაბარების აქტზე მუშა-ბრიგადირს, მაგრამ ბარგი სათითაოდ არ გადამიტვლიაო, — უპასუხა პილოტმა.

გაუგებრობა გაუგებრობა, მაგრამ სად ვარ ნეტავ ამჟამად, რა ბედი მეწია?

— თქვენი ბედი გაინტერესებთ? თქვენი ბედი თითქმის გადაწყვეტილია. — მითხრეს თბილისის ავიოსაწარმოში.

— როგორ? შეიტყვეთ რამე? — ჩავეჭიდე ხავსს.

— მას შემდეგ, რაც თქვენი პოვნის იმედი გადაიწურა, ქ. თბილისის ავიოსაწარმოში იმსჯელა და დადგინა: ვინაიდან დარეჯან აბულაძეს არ შეეფუძნებია და ოფიციალური წესით ასეთ შემთხვევაში ჩემი ღირებულება 15 მანეთსა და 53 კაპიკს არ აღემატება, პილოტს დაეკისრა ამ „ღიღი“ თანხის გადახდა დაზარალებულისათვის, რაც მან ამჯერად მთელი პასუხისმგებლობითა და კეთილსინდისიერად შეასრულა კიდეც...

P. S. ჩემი ძებნა და, საერთოდ, ჩემზე ლაპარაკი წესით აქ უნდა მთავრდებოდეს. მართლაც და თითქმის ყველაფერი გარკვეულია: მე დავიკარგე, მერე კი, რახან ვიყვირე, ვიწვილე და ქვეყანა შევაჯერე, ჩემმა პატრონმა დარეჯან აბულაძემ ჩემს მაგიერ 15 მანეთი და 53 კაპიკიც მიიღო, მაგრამ...

მაგრამ მე და ჩემსთანები ვანა ვილაც ხელცივისა და ხელმრუდის გულისა უნდა გავხედეთ? ამანათის ძებნას, როგორც დადგინდა, აზრი აღარა აქვს. კი, პატრონო, კაცნი ვართ და ამანათი შეიძლება მართლაც დავიკარგოს, მაგრამ სინდისი?

დავით ლანდია

ანონიმი

ლექსი მე არ მეხერხება, პროზაში ვარ მემარცხე. წერილებიც მაქვს შეფერხება — გვარმოწერილს ვერა ვწერ.

ანონიმურს?

როცა გინდა, — გადაბეჭდილს სამ ცალად, — გადმოვანთებ სტომაქიდან, როგორც შხამს და სამსალას.

„ცისკარს“ სისულელეს მივწერ, „მნათობს“ კიდეც უარესს, აქედან რომ არ შემიშვებს, იქით შემოვუარე.

აბა, მარდადი!

აბა, მარდადი! — „კომუნისტს“ და „ზარიას“, „იზვესტიას“, „ტრუდის“, „პრაიდას“ — იქაც გამიგზავნია.

ჯერ რაიკოს გადაგვიდებ, თუ არაფრად ჩამთვალეს, მერე ნიქსონს, მაოს, ფიდილს გავუგზავნი სამთავეს.

მინისტრი რომ წერილს არჩევს, ფეხითა მაქვს ნაწერი.

დინგიტაც ვწერ, რომ არ დამრჩეს რომელიმე ნაწყენი.

ცოლს გაგყრი და შვილს გაგიქცევ და რომ ქვეყნად არ იყო, გულს მოგიკლავ, სისხლს ჩაგიქცევ, მეტი რა ვქნა, ძამიკო?!

გვირილები შემომამწნეთ, შეხეთ, ჰყვავის აპრილი!.. გვარს ამ ლექსსაც ვერ მოვაწერ, თქვენი:

კარლი კაკლინი

რედაქციისათვის:

ველარ ივლი მართალივით, თუ ცხვირ-პირში მოგაწნეს; წერას ჰყვავსარ ატანილი, ღვარძლმოსილო მოღვაწევ!



„ტყუროვნე, ხეყი!“

გზას ვამბობ, თორემ
რა გზაა?..
ბიზლირთქა

ვაჟა ფშაველას ქუჩა ქუთაისში
კეთილმოუწყობელია.

ჩვენს პლანეტაზე უცნაური ამბებიც ხდება. ამბობენ, ინგლისელები ცოტ-ცოტას და ხშირად ჭამენო. მთელი ინგლისი თურმე ერთდროულად საუზმობს, სადილობს, სამხრობს, ვახშმობს და ინგლისურ მარილსაც ერთდროულად მიირთმევს. ჩვენში ზოგი იმდენად ბეჯითი და მოუცლელია, რომ დღეში ერთხელ ჭამს. მხოლოდ დილის საუ-ზმეს გეახლებათ. ხაშით იწყებს და მეორე დილით ხაშითვე ამთავრებს... მართალი გითხრათ, მოსა-წყენია ინგლისური პედანტობა. აბა, რას ჰგავს, რომ მთელი ინგლისი თორმეტ საათზე სასადი-ლოდ გარბის? ჩვენებურად სჯობია: ვანო პირვე-ლზე სადილობს, ჯოდორია — სამზე, იპოლიტე — სადამოს რვა საათზე...

კარგია მრავალფეროვნება!
მხოლოდ ერთი

რამ არის: დიდი ფიქრია საჭირო, როცა სახლიდან რაიმე საქმეზე გა-დისარ.

ერთხელ, რო-გორც ოჯახის კაცს შეეფერება, ავი-დე ხელჩანთა და საყიდლებზე გა-ვედი. ჯერ თავო

და თავოთ, ნათქვამია და ამიტომ თავის გასაკრეჭად საპარიკმახეროს მივაშურე. 12 საა-თია. შესვენება ჰქონიათ. მერე ცოლ-შვილი გამა-ხსენდა და გავემართე ბავშვის ფეხსაცმელების შესაკეთებლად. მეკრავთან მისვლას 15 წუთი მოგუნდი. აქ შესვენება თურმე 2 საათსა და 15 წუთზე იწყება. სახლში საპონი დამაბარეს... გას-ტრონომი 12 საათსა და 35 წუთზე იკეტება. რა-საც არ მივადექი, ყველაფერი დაკეტილი დამხე-და. სიარულმა თავი ამატკივა. აფთიაქშიც შესე-ნებაა 16 საათსა და 48 წუთამდე!.. გაზეთს მაინც ვიყიდი-მეთქი. კიოსკს ასეთი წარწერა ამშვენებს: „პ ე რ ი ვ ზ ე წ ა ვ ე დ ი!“ ზოგან თანამშ-რომელი ბანკში ფულის ჩასაბარებლად არის წა-სული, ზოგ მაღაზიაში აღწერაა. იქ საქონელს იღებენ, აქ საინტარული დღეა... სადამოს ხელ-ცარიელი მივლასლასდი სახლში. ახლა ასე აღარ ვაკეთებ. შევადგინე „შესვენებათა და პერერიგთა სრული გრაფიკი“. ყველას ვურჩევ, ისარგებლოს ამ გრაფიკით. თბილისში ეს უტყუარია.

თქვენს წინ, ქუჩის მეორე მხარეს რომ წიგნე-ბის მაღაზიაა, იქ ნუ მიხვალთ 11 საათსა და 17 წუთიდან 12 საათსა და 03 წუთამდე: შესვენე-ბაა. მის გვერდით ატელიე ისვენებს 12—13 სა-ათებში, ფოტოატელიეში (რაკი ატელიეებზე ჩა-მოვარდა ლაპარაკი) მაშინ ისვენებენ, როცა უნ-დათ. ამ შემთხვევაში დურბინდი უნდა იქონიოთ და შორიდან ამოიკითხავთ წარწერას — „პ ე რ ი ვ ზ ე წ ა ვ ე დ ი თ!“ თქვენს ახლოს რომ უგა-მყიდველო გასტრონომია, 14¹⁵—15⁰¹ საათებში ისვენებს. ერთი კვარტალი რომ გაიართო, მეორე გასტრონომს წააწყდებით, რომელიც 15 საათი-დან 16 საათამდე „მ ი დ ი ს პ ე რ ე რ ი ვ ზ ე“.

შემიძლია მოგა-წოდოთ თბილისის ყველა დაწესე-ბულების შესვენე-ბათა გრაფიკი, მაგრამ უმჯობე-სია, თვითონ შეა-დგინოთ. საკუთა-რი თვალთ ნახუ-ლსა და განცდილს არაფერი სჯობია.

თუ ამდენი მეც-ნიერული კვლევა-ძიების დრო არა გაქვთ, ნურა-ფრის საყიდლად ნუ წახვალთ 12-დან 18 საათა-მდე. თუმცა, ესაც სახიფათოა: ზოგი მაღაზია არც კი მუშაობს 18 საათამდე. თქვენ რომ ამთავ-რებთ ამ დროს სამსახურს, იმათი სამსახური ჩა-ლის ჭამა ხომ არ გგონიათ? როგორც ადრე მო-გახსენეთ, ცხონებული ლუარსაბ თათქარიძის სიტყვით, დალოცვილ ღმერთს აგრე გაუჩენია: კვირა დასვენების დღე უნდა იყოსო. მაგრამ არა-ფერი შეგეშალოთ: ზოგი მაღაზია კვირას ისვენებს, ზოგი — ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშა-ბათს, ხუთშაბათს, პარასკევს ან შაბათს. ამასაც დამახსოვრება უნდა. მეტი რა საქმე გაქვს, თბი-ლისელო, ადექი და შენც დაიმასხოვრე!

ბევრი რამ სასარგებლო კიდეც უნდა მეთქვა შენთვის, მაგრამ ახლა მეც არ მცალია: „პ ე რ ე რ ი ვ ზ ე წ ა ვ ე დ ი!“.

რომან მიმინოშვილი



მეტამორფოზა

მოგონებებში ჩაფლული, მრავალ დროების მნახველი, ფშაველას ქუჩა ჩიოდა, ვერ დაემალა ნალველი:

„მე უძველესი ქუჩა ვარ ქალაქად შემორჩენილი, ყველასგან მივიწყებული, ტოლთაგან ჩამორჩენილი.“

ვთქვი: მალე ელფერს შევიცვლი, რომ ველარ მცნობდეს მნახველი... და მართლაც ვაჟა ფშაველად მონათლეს ჩემი სახელი.

დღეს ვაჟას მსგავსად დავცქერი ქალაქის ალორძინებას, გზატკეცილებს სიძრავლეს, ცხოვრების სწრაფად ღინებას.

ჩემზე კი კარგი ვინა თქვას, ანდა რა ქების ღირსი ვარ, როცა თვით დიად ფშაველსა ამგვარად გავუღუქსივარ:

გზას ვამბობ, თორემ რა გზაა? ღორღზე ვერ დგები ფეხზედა, სავალად მეტად ძნელია, კისერს მოიტენ ქვებზედა.

დღეს როგორ უნდა გიჭირდეს მანქანით მისვლა კარამდე, ნუთუ, გზის მოასფალტება აღარ მოხერხდა აქამდე?

სახელს ნუ მირცხვენთ, მიშველეთ, გულს ნუ მამიკლავთ წყენითა! მუდამდღე ტაქსის მძღოლები მლანძღავენ ავის ენითა.

გივი სარაშა

გაიღიკაყაყულის სიმღერა

ღირექტორი მჭვია და ვერ გამიგია, რატომ, რისთვის უკვირთ, პატივს მცემენ თუკი! ყველგან უნდა ვჩანდე, ყველას უნდა ვწამდე! დიდი კაცი რომ ვარ, უნდა მქონდეს ბლომად ყველაფერი, ყველაფერი: დიდი ბინა — მე! გარაკი — მე! კარგი ჩაცმა — მე! კარგი ჭამა — მე! შენ კი — კალოკილი ნეკი! ენკი-ბენკი!

ნიკოლოზ ჩაჩავა



ბიძინა ჭყონიას მიერ კონკურსზე გა-
მოგზავნილი თემის მიხედვით.



მალაზიამი
 უამი ცოლმა მალაზიამი შეიყვანა:
 — რიადლი გაქვთ? — უკითხება
 უამი გამიფუფუნა.
 — არა!
 — ჰიშეულათ ღმერთმა!


— ზე მმართველებს ვალი პარტიის, ზე მმართველებს ვალი ქვეყნის და...
— და ჩემი! — ეშველება დარბაზიდან ვაჟი.

სხვა გზა

მომღვლედი ქალი მალე გამო-
მეცხადა. ხელისგულზე ჭიპი
ედო. წამიც და იმავე ხელის-
გულზე ხუთმანეთიანმა მოიკა-

— საავადმყოფოდან გავიდა
და ჭიპი სხვას დაუტოვო?
არა, რადაც უნდა დამოუდეს,
უნდა მოვიძიო ჩემი ვაჟაკის
ჭიპი. როგორც იყო, შევადგინე

როზა ირემაშვილი



ბ. ცაიტიშვილი, ვ. ზაბახიძე

— მე... — ისმოდან აჭრთ-იჭიდან.
— გასაგებია, — ამბობს ჯანი, —
მე ვიპოვნე გაზეთი!

გიგა მახვილაძე

- მაგა, რვა და ხუ
- არა, შვილო, რვა
- მაშინ ეს ორი სახ

ტოლია?
ტია ხუთზე.
რატომცაა ერთი სიგაღლის?

შალვა გულუას მიერ კონ
გამოგზავნილი თემის მიხედ

მე... ჯა აჩვენებებს ბო
შეიქცე, შეიქცე საფუძვანტის
ნუ შეიცდონთ მ

აღმოჩენილი ძალად შეძენილი
გუარამ კლდიაშვილი

ისევ მაგაქაცთა პრესტიჟისათვის



ათასჯერ გადიდებული კიბოს გამომწვევი
მიკრობები.

სოსო მაქარაშვილის მიერ კონკურსზე
გამოგზავნილი თემის მიხედვით.



ნახ. ჯ. ლოლუასი

— ეს საოპერაციო იარაღები ყველაზე მეტად
რის, ამ ქირურგს კი ნახვარა მუცელში რჩება,
წყლი და მკიმი მკრძი!

ღვთი ზუროდის მიერ კონკურსზე გა-
მოგზავნილი თემის მიხედვით.

გამოვიდა ქართული კალენდარი. არ ვიცი, მთვარეზე გაფრენას ველოდ-
ბოლით თუ რა იყო, ახლა დროულად გამოდის კალენდარი, მაგრამ ეს სრულია-
დაც არ ნიშნავს იმას, რომ კალენდრის შემდგენელთა მიმართ სერიოზული პრე-
ტენზიები არა გექონდეს.

მის ფურცლებზე ზომზე მეტად დაუმსახურებლად არიან გაანდიდებული
ქალები. ნუთუ, არ კმარა, რომ მათთვის ცალკე ფურცელია გამოყოფილი —
რვა მარტი? ნუთუ არ კმარა, რომ ამ დღეს ყველა ვისვენებთ და ხმის ჩახლე-
ჩამდე მათ სადღეგრძელოებს ვიმეორებთ? რაღა საჭიროა ზედმეტი დიდი რაზმები?
ეს ხომ უფრო გაანებივრებს ჩვენს მეორე ნახევარს? არ ვიცი, ვინ არის ავტო-
რი 23 მარტის მეორე გვერდზე მოთავსებული წერილისა — „დიასახლისის რე-
კორდი“ (ხელს არ აწერს), მაგრამ ერთი კი ცხადია: იგი, ან ნამდვილად ქა-
ლია, ან ქალებზე ბრძალ შეყვარებული. თუ არ გჯერათ, აი, ეს წერილიც:

„საზღვარგარეთ, ამ რამდენიმე წლის წინათ, გამოიანგარიშეს რომ დიასახლი-
სი, რომელიც უვლის ოთხი სულისგან შემდგარ ოჯახს, მთელ თავის სიცოცხლე-
ში საშუალოდ აკერებს 20.000 ლოს, 18 ათასჯერ ალაგებს ლოგინს, აშალებს
60 ათასამდე სადილსა და ვახშამს, ასხამს 100.000 ჭიქა ჩაის და ყავას, ასუფთავებს
და რეცხავს 15 ტონა ბოსტნეულს; მილიონამდე თევზს. ამას გარდა, ის რეც-
ხავს და აუთოებს 220 ათას კვადრატულ მეტრ თეთრეულს.

ამის შემდეგ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, დიასახლისი
არაფერს არ აკეთებსო.“

რა არის ეს, თუ არა მრუდელ სარკეში ცხოვრების დანახვა?
ჯერ ერთი, საზღვარგარეთულ ცნობას რა მოტივით ვეყრდნობით? იქ, კაპი-
ტალისტურ სამყაროში, ქალი ოჯახში რომ არის ჩაქეტილი, ავტორმა არ იცის?
ჩვენში კი ქალი ყოველმხრივ თავისუფალია და მამაკაცის მხარდამხარ მუშაობს.
რა თეფში, რა ლილი! მეორეც, რატომ ეს დალოცვილი ანონიმური ავტორი ერთ-
ხელად არ დაფიქრდება, რას აკეთებს მამაკაცი „თავის სიცოცხლეში“
საშუალოდ? სულ მუდამ მე გამოვიდო თავი მამაკაცების დასაცავად? ხალხი
არა ხართ? ხმას ვერ ამოიღებთ? დავჯექი და ვიანგარიშე და, აი, „დიასახლი-
სის რეკორდის“ საპასუხოდ, ინებეთ „მამასახლისის რეკორდი“:

ვთქვათ, მამაკაცი საშუალოდ ცოცხლობს 60 წლამდე (მეტს ვინ აცოცხ-
ლებს?) 20 წლის ასაკიდან 60 წლამდე ორმოცი წელია. წელიწადში 365 დღე (ნა-
კიანი წლების ოდენობა ჩემი ოპონენტისათვის მიჩუქებულია). თუ დღეში მამაკაცი
საშუალოდ 2 ლიტრა ღვინოს დალევენ, მაშინ ყოველი მამაკაცი საშუალოდ სი-
ცოცხლეში სვამს 25 ტონასა და 200 ლიტრა ღვინოს, ანუ 151.200 ჩაის ჭიქას, თუ
არ ჩავთვლით „პანმელიაზე“ „ბორჯომს“ ან „ზვარეს“.

შემდეგ: 40 წელიწადში 40 ზაფხულია. ყოველ ზაფხულს ჩვენშიც და საზ-
ღვარგარეთაც სამი თვე აქვს, ყოველ თვეს — ოთხი შაბათ-კვირა. ამ შაბათ-
კვირებით ყოველი მამაკაცი საშუალოდ სიცოცხლეში ცოლ-შვილს აგარაკზე
უზიდავს 10 ტონასა და 400 კგ საზამთროს (რომელიც საერთო სიდიდით დედა-
მიწის მოცულობას აღემატება), 5 ტონასა და 620 კგ პამიდორს, 3 ტონასა და
750 კგ კიტრს, 4 ტონასა და 230 კგ ბადრიჯანს...

კიდევ შემდეგ: ვთქვათ, ცოლ-შვილი მამაკაცს ბორჯომში ჰყავს დასასვენებ-
ლად გაგზავნილი (გავრას ან ბიჭვინთას მოვეშვით) ბორჯომამდე 167 კმ-ია. წასე-
ლა-წამოსვლა, ესეც შენი 334 კმ. 40 ზაფხულის განმავლობაში ყოველი მამაკაცი
საშუალოდ სიცოცხლეში ფარავს მანძილს, რომელიც ტოლია 277.680 კილომეტრ-
ისა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ყოველი მამაკაცი ცოლ-შვილისათვის დედამიწას
გარშემო უვლის თითქმის 7-ჯერ!

ყველაფერს თავი დავანებოთ, რა ზღაპრებს გვიყვება ის უცნობი ავტორი,
ეჭიდანაც ჩანს, რომ თუ დიასახლისი „სიცოცხლეში“ საშუალოდ აკერებს 20.000
ლილს, თქვე დალოცვილებო, ეს 20.000 ლილი ისევე ჩვენი აწყვეტილი არ არის?
აი, სადამდე მივყავართ მიკერძობასა და წინდაუხედაობას!

რაფიელ მაგულაშვილი

აღსრულდა! უკვე მზადა ვარ ეგვიპტეში გასამგზავრებლად. რო-
გორც იტყვიან, ჩემოდანი უკვე ჩავაწყვე... მაგრამ, ჩემოდნის
ჩაწყობაზე, ბევრი წვრილმანი თუ მსხვილმანი საქმის, „ჩაწყ-
ობა“ მომიხდა.

საქმის ჩაუწყობლად საგზურს რომ არავინ იძლევა, ეს ყველამ
ვიცით. პოლა, ჩავაწყვე საქმე და ვიზოვინ საგზური. ამის შემ-
დეგ ოჯახში უმაღლეს დონეზე (რა თქმა უნდა, სიდედრის თანდას-
წრებით) გადაწყდა ჩემი გამგზავრების საკითხი. ამ ეტაპზე საქმის
ჩაწყობაში ქრთამის გაღებამ მიშველა — საოჯახო თათბირის
ყველა მონაწილეს ღირსეულ საჩუქარს შევპირდი.

ათი დღე ჩემს ღირებულოს ვუგოვრე წითელი კოჭი. ადრე თუ
შრომის დისციპლინის დამრღვევის რეპუტაცია მქონდა, ახლა სამ-
სახურში მოსვლას ყველას ვასწრებდი, შინ კი ყველაზე გვიან მივ-
დიოდი. ასე განიჩეთ, შესვენებითაც კი არ ვსარგებლობდი. გაღღვა
ყინული, ჩაეწყო საქმე — ღირებულომ ერთთვისანი უფასო შევ-
ბუღებდა მომცა.

საქმის ჩაწყობის შემდეგი ეტაპი პოლიკლინიკა გახლავთ. ისე,
კაცმა რომ თქვას, როგორ მოგცეს ერთი დღის გაცნობილმა ექიმმა
ცნობა, რომ არც გიფი ხარ, არც ბნედიანი, წითელაც მოხდილი
გაქვს და ქუნთრუშაც. რაც მართალია, ასეთი საქმის ჩაწყობას
შუაყაცაც სჭირდება და პურ-მარილიც (სიმთვრალეშიც ხომ უნდა
გნახონ, იქნებ ქვის სროლაც გაქვს ჩვევად).

ახლა, როდესაც ყველა საქმე ჩაეწყო, ცოტა არ იყოს მოვიწყინე,
მაგრამ წინ მეტად საინტერესო მოგზაურობა მომეღიბა და, რაც მთა-
ვარია, იქნებ დიდი ხნის ოცნებაც ავირულო — ჩავაწყე საქმე
და ერთი პირამიდა ჩემს ეზოში დასადგმელად ჩამოვიტანო...

ჩაწყვე!



ნახ. ლ. ზარაფშვილისა

არ მიეპაროთ, სასიკვდილოა!

სოსო მაქარაშვილის მიერ კონკურსზე
გამოგზავნილი თემის მიხედვით.

რამაზ მაგაპარიანი

საქართველო ვაშლი

იურიდიული კონსულტაცია

კითხვა: გაცნობებთ, რომ უზგოუკვლოდ დაიკარგა ჩემი მეუღლე — ოთარ ნიკოლოზის ძე ბარამია. მას-
თად ერთად დაიკარგა ალიმენტი, ანუ უფრო სწორად,
ყოველთვიური შემოსავლის 33 პროცენტი. იმასაც
გაცნობებთ, რომ ჩემი ყოფილი მეუღლე ცხოვრობდა
ჭერ ქ. ცხაკაიაში (გოგებაშვილის ქუჩაზე), იქიდან, ამ
რამდენიმე წლის წინ, ამოწერილა და ერთხანს ფოთ-
ში შეუფარებია თავი. ფოთიდან, მგონი, თბილისში
გადასახლებულა და, როგორც ამბობენ, ალიმენტის
ხაზით, არალეგალურ მუშაობაზე გადასულა.
ხომ არ მეტყვი, სად იმალება ორი შვილის მამა
ოთარ ბარამია.

გულნარა ბარამია

პასუხი: ალიმენტების ურჩი გადახდის სა-
ბოლოო დასამალი შესაფერისი გამასწორებელი აღვი-
ლია და თუ ბატონმა ოთარმა დროზე არ დაანება თა-
ვი არალეგალურ მუშაობას, „ლეგალურად“ მოუხდე-
ბა დამალვა შემოადნის მისამართზე.

კონსულტანტი **ბ. ნიკოლოზიშვილი**

დალოცე, ნიანგო!

უბრძანებ დიდი საქმე გაქვთ ავჭალის გზატკე-
ცილზე (№ 72), ელმავალშენებელი ქარხნის № 10
„ბარაკში“. გულგახეთქილი წყლის მილი, რომელიც
რამდენიმე თვის განმავლობაში თავის გაჩენის დღეს
ტიროდა და სიმწრის ცრემლებს „ბარაკის“ მცხოვ-
რებლებს აფრქვევდა, „გაქვთ“ და ახლა სულ სხვა
მიმართულებით, — ავჭალის გზატკეცილზე მიედინება
ნაკადულად. ხსენებულ ცრემლებს, ამ ბოლო დროს,
კანალიზაციის წყალიც შეუერთდა და, ასე და ამრი-
გად, სამაგალითოდ დამშვენდა გზატკეცილის ასფალ-
ტის საბანი. აღნიშნული ღონისძიების გატარებაში,
როგორც ამბობენ, დიდი ღვაწლი საბინაო სამმართვე-
ლოს მუშაკებს მიუძღვით. მათი ყურადღებითა და
ყოველდღიური ზრუნვით აკი ყელაშვით სიკეთეში
არაიან ჩაფლულნი „ბარაკის“ მცხოვრებლები და, რა
გასაკვირია, თუ ყოველ ცისმარს მათს ღოცვაში
ატარებენ.

დალოცე, ნიანგო, რამეთუ ღირსნი არიან შექებისა!

ბ. მოციშული

ნ ა ნ ა დ ი რ ე ვ ი

ეს ნანადირევი ამას წინათ წამოეგო „ნი-
ანგის“ ქამანდაზე ქვემო ქართლის ტრასაზე.

ავტოშანქანის ძარაზე დემონსტრირებული
წარწერა ავტოსატრანსპორტო წესრიგის და-
ცვის მოწოდებას წარმოადგენს. ამ მოწო-
დებით მოწოდების სიმაღლეზე აიყვანა შო-
ფერმა თავისი მომხვეჭელობის ნიჭი და მარი-
ფათი: ცხოვრების ტვირთშემსუბუქების მიზ-
ნით სარისკო საქმე იტვირთა და სატვირთო
მანქანა ცხვრებივით ხალხით გაჭედა.

რეიდზე გასული ოედაქციის მუშაკებისა-
გან მიცემული გაჩერების ნიშანი შოფერმა
ცუდად ინიშნა, ნიშნის მოგების მიზნით
ყოველგვარი საგზაო ნიშანი უგულვებელყო
და მოუსვა.

მაგრამ ნიანგის ფოტოაპარატს, აბა, სად
გაეჭვოლდა?

ბაი ოზიშვილი

„ხოტბა“ ხვადგიანს

თავზე ხელ (ფეხ) აღებული
მძლოლი იყავ, ზოდისეული,
სხვისი ხოტბა მოგვეწყინა,
მოვისმინოთ ზოგიც შენი!

ძარას როდი დაეკითხე
(მანაც თვალი მოგარიდა), —
თხუთმეტამდე კაცი დასხი,
ამდენივე ტომართა.

ტვირთმიმედ და ტვინმსუბუქად
გამოგოგდი, გაივაკე,
შენებურად აუქშიე
საჭეს... ქუთაისისაკენ!

მოსახვევმა შენს მანქანას
ვერც უყელა, ვერც უგანა,
გადაჩეხე უცებ თხრილში —
ვინ წინა და ვინ უკანა.

ერთმანეთში აირია
(გახსოვს?) ხილი და მეხილე,
ზორბა ზურგი შეაქციე
უმოწყალოდ დაფეხვილებს...

კაცის ბედი და სიცოცხლე
რომ არ გიღირს ნიახურად,
ამიტომაც გაგიცინე,
შაქრო ჩემო, ნიანგურად!

„ხოტბა“ შეგასხა ზაზამ



ქართული
ბეჭდვითი ქარხანა

მთავარი
რედაქტორი
ნოდარ ღუმბაძე

სარედაქციო
კოლეგია:

ზ. გოლჭვაძე
(პ/მ. გლივანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. მაღაშვილი,
ბ. ნიშნიაშვილი
(მთავ. რედ.
მოადგილე),
ნ. შველიძე,
ო. ზელიძე.

საბირისა და იუმორის
ჟურნალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველის
პროსპექტი № 42.
Тбилиси, Сатирико-
юмористический
журнал «Нианги».
ბელ. რედაქტორის
99-76-69, რედ. მოადგილის
93-49-32.
საერთო განყოფილების
93-10-78.

საბ. კვ ცკ-ის გამომცემ-
ლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ.

გალავა ასაწომად
12/III-71 წ.
ბელმოწერილია დასა-
ბავად 5/IV-71 წ.
ჭალადის ზომა
70×108¹/₈.
ფინიკური ნაბეჭდი ფურ-
ცელი 1,
სააღრიცხვო-საგამომცემ-
ლო თაბახი 1.4.
საბ. კვ ცკ-ის გამომცემ-
ლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ.
№ 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА
ЦК КП ГРУЗИИ
ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИ-
НА № 14

შეგ. № 869.
უი № 01985.
ბირაჟი 128.100.



11
1971

71-229

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო
სისტემატურად აწუხობდა „სამეცნიერო-კლვიით ექს-
პედიციებს“ არარატის მთაზე, სსრ კავშირის საზღვარ-
თან, ვითომც ნოეს კიდობნის „აღმოჩენადა“



აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო
სამმართველოს
გაუქმებული ფილიალის პროექტი